



MES 7 23 0000084492



26/01/2023

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" (შემდგომში - დებულება) 103 - ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom - ის გამოყენებით. სააპელაციო საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

EQE VET Authorization is inviting you to a scheduled Zoom meeting.

Topic: სააპელაციო საბჭო - ზეპირი მოსმენა

Time: Jan 12, 2023 12:00 PM Baku, Tbilisi, Yerevan

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888>;

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 2022

სხდომის ჩატარების თარიღი: 12/01/2023

სხდომის დაწყების დრო: 12:20 სთ

სხდომის დამთავრების დრო: 14:50 სთ

სხდომის თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული

სხდომის მდივანი - ანა საბახტარიშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

ბორის ლეჟავა - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი მარკეტინგის მიმართულებით - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გივი გაგნიძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერვნული ცენტრის "ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი" პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი;
ანა საბახტარიშვილი - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი - საბჭოს მდივანი;
გიორგი ტრაპაიძე - სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
კახაბერ ფარცვანია - შპს "თანამედროვე განათლების აკადემიის" ფრანგული ენის მასწავლებელი;
აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტი-ბიზნესის მიმართულებით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენლები (შემდგომში - ავტორიზაციის საბჭო):

ნანა ყუფუნია - შპს "თბილცემენტ გრუპის" ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი - **საბჭო სთავმჯდომარე**;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის "ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის" ქვეპროგრამის - "ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა" - პროგრამული განვითარების კოორდინატორი.
ქრისტინე რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი.

შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ წარმომადგენლები:

ლევან ტაკიძე - შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ წარმომადგენელი;

მარიამ ქებაძე - შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ წარმომადგენელი;

მანანა ხაბაძე - შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ დირექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში;

რევაზ ფუტყარაძე - შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ იურისტი.

სააპელაციო საბჭოს სხდომა დაიწყო 12:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე სააპელაციო საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

✓ არა

1. შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სააპელაციო საბჭო განიხილავს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას, რომელიც ეხება შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხს. კერძოდ, მონიტორინგის შემოწმების განხორციელების შედეგად ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ იქნა დასკვნა. შემდგომ ეს დასკვნა წარედგინა პროცედურების თანახმად ავტორიზაციის საბჭოს და ავტორიზაციის საბჭომ დასკვნაში ასახული სტანდარტების დარღვევების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ. შემდეგ ეს გადაწყვეტილება, ისე რომ სააპელაციო საბჭოში გასაჩივრებული არ ყოფილა, გასაჩივრდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუმცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული საჩივარი, ვინაიდან შპს „ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელს“ არ ჰქონდა გამოყენებული პირველადი გასაჩივრების მექანიზმები. შესაბამისად, 2022 წლის 29 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირდა შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ სააპელაციო საჩივარი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე სააპელაციო საბჭო მოუსმენდა სააპელაციო საჩივრის ავტორ დაწესებულებას და მათ იურიდიული და ფაქტობრივი მტკიცებულებებისა და არგუმენტებზე დაფუძნებულ მოსაზრებას, თუ რატომ უნდა მოხდეს მიღებული გადაწყვეტილების დაბრუნება ხელახალი განხილვისათვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის. შემდეგ უკვე საბჭო მოუსმენდა ქალბატონ ნანა ყუფუნას, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს და, ასევე, საბჭოს წევრებს, რომლებიც დააფიქსირებენ თავიანთ პოზიციასა და მოსაზრებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკითხის განხილვამდე დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ ქებაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას 2022 წლის 18 ნოემბერს ცენტრში წარდგენილი ჰქონდა შუამდგომლობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სახელზე, რომლითაც დაწესებულება ითხოვდა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედების გადავადებას 2023 წლის აგვისტომდე. აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, დაწესებულების განმარტებით, მათ არ მიუღიათ საპასუხო კორესპონდენცია. აქვე, მარიამ ქებაძე იხსენიებდა „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2² მუხლის, რომლის მიხედვითაც მისი განმარტებით უნდა მომხდარიყო შუამდგომლობის განხილვა და გადაწყვეტილების ამოქმედების ძალაში შესვლის გადაწყვეტილების გადავადება.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ ქეთევან ციხისელმა განმარტა, რომ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის - „გადაწყვეტილება ავტორიზაციის თაობაზე“, 2² პუნქტი ადგენს, რომ „თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება სასწავლო წლის განმავლობაში იქნება მიღებული, ზოგადსაგანმანათლებლო/უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია, შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობისა და მოსწავლეების/სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, ავტორიზაციის დარჩენილი ვადის მიუხედავად, სათანადო გადაწყვეტილებით მოსწავლეებს/სტუდენტებს მიმდინარე სასწავლო წელი შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაასრულებინოს და ავტორიზაციის გაუქმების შესახებ ან ხელახალ ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად არაუგვიანეს მიმდინარე სასწავლო წლის დასრულების თარიღი მიუთითოს“. წარმოდგენილი

პუნქტი არ ეხება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და მას დაწესებულება არასწორად იყენებდა და აღიქვავდა, შესაბამისად, ცენტრის მხრიდან ზემოხსენებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, დაწესებულებას გაეგზავნა საპასუხო წერილი, რომ მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ გასაჩივრების პროცედურები და მიემართათ სააპელაციო საბჭოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა სცდებოდა სააპელაციო საბჭოს ზეპირი მოსმენის მანდატს, არ წარმოადგენდა ხელისშემშლელ ფაქტორს, შესაბამისად მოუწოდა დაწესებულებას დაეწყო მსჯელობა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასა და სააპელაციო საჩივარში მოცემულ გარემოებებთან დაკავშირებით.

მარიამ ქებაძემ აღნიშნა, რომ განათლება ქვეყანაში კონსტიტუციით დაცული უფლებაა და თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც ამ უფლებას ზღუდავს, უნდა იყოს დასაბუთებული. მარიამ ქებაძემ აღნიშნა, რომ მოგვიანებით ჩაერთო პროცესში, გაეცნო სხდომის ოქმს და გადაწყვეტილებას. „კანონში პირდაპირ არის მოცემული, რომ თითოეული გარემოება უნდა იყოს გამოკვლეული, შეფასებული და არგუმენტირებული. ვთანხმდებით იმაზე, რომ ეს ცნობები ნამდვილად იყო გაცემული და ეს არ არის სადაო. თუმცა სადაოა საკითხი, თუ როგორ არის დასმული ეს შეფასების აქტში - ეს პირები იყვნენ სტუდენტები თუ მსმენელები. რა ფორმით და რა კუთხით სწავლობდნენ და რატომ ირიცხებოდნენ ისინი ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში. აქვე დავაფიქსირებთ, რომ ეს პირები სასწავლებელში ირიცხებოდნენ როგორც მსმენელები და არა როგორც სტუდენტები. კონსტიტუციაში წერია, რომ ყველას აქვს უფლება განათლება მიიღოს და აირჩიოს განათლების ფორმა. ამ ადამიანებმა, ვინაიდან ვერ ჩააბარეს და ვერ გაიარეს გამოცდა, ვერ იქნებოდნენ ისინი პროფესიული სტუდენტები სხვა ვერცერთ დაწესებულებაში, თვითონ გადაწყვიტეს, მიეღოთ განათლება ამ ფორმით. მათ არ გადაუხდიათ თანხა იმ პროგრამებისთვის, რომლებიც სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. მათ გადაიხადეს თანხა, რომ დასწრებოდნენ ლექციებს, რაც ხელს შეუწყობდა მათი უნარების გაუმჯობესებას, რომ შემდეგ წელს ჩაებარებინათ და გამხდარიყვნენ სტუდენტები. აღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ ოთხივე მათგანი რომელზეც გაცემული იყო ცნობები, დღესდღეობით ირიცხება ემისის ბაზაში, როგორც სტუდენტი“, აღნიშნა მარიამ ქებაძემ.

ირაკლი ბურდულმა მარიამ ქებაძეს დაუსვა კითხვა - „ე.ი. თქვენი ლოგიკით, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება მე რომ, ამ კოლეჯს აქვს მოსამზადებელი კურსები, შესაბამისად ის სტუდენტები რომლებიც შეიძლება ვერ ჩაირიცხონ, ვერ ჩააბარონ და კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილონ, მოხვდებიან როგორც „თავისუფალი მსმენელი“ თქვენს კოლეჯში, მათ თქვენ მოამზადებთ, მათ ეს ცოდნა არ დაეკარგებათ და როცა გახდებიან სტუდენტები მათ ეს ცოდნა არ დაეკარგებათ. რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო რამეს ამბობთ ეხლა, ჯერ ერთი „თავისუფალი მსმენელის“ ინსტიტუტს ჩვენი კანონმდებლობა არ სცნობს. თქვენ რომ იყოთ ევროპის რომელიმე ქვეყანაში, მაგ. ავსტრია, გერმანია, შვეიცარია და ა.შ. იქ როგორც უნივერსიტეტის დონეზე, ასევე, სასწავლო უნივერსიტეტის დონეზე და კოლეჯების დონეზე, უზრუნველყოფილია „თავისუფალი მსმენელის“ სტატუსი. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი ართმევს ფულს, უნივერსიტეტი ამზადებს მათ და შესაბამისად მათ შეუძლიათ პროგრამით გათვალისწინებული გარკვეული საგნები გაიარონ, რომელთა ჩათვლაც ხდება სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ. ეს ერთი, და მეორე, გამომდინარე იქიდან, რომ განათლების სფეროში ქართული კანონმდებლობა ეს არის საჯარო ადმინისტრაციული კანონმდებლობა და საჯარო ადმინისტრაციული კანონმდებლობა განსხვავდება რადიკალურად კერძო სამართლებრივი კანონმდებლობისაგან, სადაც დამკვიდრებულია პრინციპი, რომ გააკეთე ის, რაც კანონმდებლობით აკრძალული არ არის და ეს არის ნებადართული, აქ ეს პრინციპი, იცით, თქვენ იურისტი ბრძანდებით, და საპირისპიროდ გამოიყურება. ადმინისტრაციული საჯარო

კანონმდებლობის მიხედვით პირიქით ნებადართულია მხოლოდ რაც კანონმდებლობით დასაშვებია. შესაბამისად, კანონმდებლობით თუკი რაღაცა სტატუსის დონეზე, მდგომარეობის დონეზე, პროცედურის დონეზე და ა.შ. გათვალისწინებული არ არის ამის განხორციელების უფლებამოსილება, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ასევე, კერძო სამართლის იურიდიულ პირს, როგორც თქვენ ხართ წარმოდგენილი, არ აქვს. მესამე, რაც ჩემთვის გაუგებარი იყო ოქმის გაცნობის დროს და რა კითხვასაც მე თქვენ ახლა დაგისვამთ, ეს არის ის, რომ რაღაცნაირად ვაუბრალაობთ ცნობების გაცემის ამბავს. უკაცრავად, მაგრამ ამ ცნობების საფუძველზე სახელმწიფო ორგანოებისთვის არის მიმართული და ამ ცნობების საფუძველზე გადავადებულია სამხედრო სავალდებულო სამსახური. შესაბამისად, რაც არ უნდა დარღვევა მომხდარიყო თქვენი მხრიდან ტექნიკური ხასიათის ამ ტექნიკურმა ხარვეზმა გამოიწვია ავტორიზაციის სტანდარტებით და კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევა. ამ დარღვევიდან გამომდინარე შედეგი რამდენად არის სწორად დაყენებული, ეს სხვა საკითხია, მაგრამ თუკი ვთანხმდებით იმაზე, რომ მდგომარეობა სახეზე იყო და არანირი „თავისუფალი მსმენელის“ არსებობის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს კანონმდებლობა და რაც, სხვათა შორის, თქვენივე წარმომადგენლების მიერ აღიარებულია ავტორიზაციის სხდომის ოქმში. თქვენ სააპელაციო საჩივარში არცერთი მტკიცებულება და გარემოება არ დაგიდასტურებიათ ფორმალური წინააღმდეგობების თაობაზე, რაც ოქმში არის, არადა ოქმი მიმდინარეობას აღწერს პროცესის შესაბამისად, ჩვენ ვეყრდნობით ოქმს, სადაც პირდაპირ შემიძლია მიგითითოთ გვერდები ამ ოქმისა, სადაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ თქვენი წარმომადგენლები, თქვენ, როგორც თქვით, მოგვიანებთ შეუერთდით პროცესს, ეთანხმებიან და აღიარებენ იმას, რა დარღვევებიც იყო, უფრო სწორად ფაქტობრივ მდგომარეობებზეა საუბარი. რახან თქვენ ამ საკითხებზე აპელირებთ, მაშინ ამ კითხვებს გაეცით პასუხი“.

მარიამ ქებაძემ უპასუხა, რომ ფაქტობრივ მდგომარეობას ნამდვილად ვერ უარყოფს, რომ გაცემული იყო ცნობები და წარდგენილი და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. „რაც არ უნდა უარყოფთ ასეა, თუმცა არც უარყოფას არ ვაპირებ“, განაცხადა მან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, რომ შეთანხმებულიყვნენ, ვინ ისაუბრებდა პირველად დაწესებულების მხრიდან და ვინ წარადგენდა და შემდეგ ვინ დაამატებდა და დააზუსტებდა საკითხებს. რომ არ მომხდარიყო საკითხების არევა.

მარიამ ქებაძემ უპასუხა: „მე დავიწყებ და თუ რამე შინაარსობრივი საკითხი იქნება, ვთხოვ, რომ დაწესებულების სხვა წარმომადგენლებმა შეავსონ და დაამატონ. მინდა დავიწყო ზოგადი განათლების შესახებ კანონით, სადაც წერია, რომ სუბიექტი, რომელიც ახორციელებს ისეთ საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა, რომელიც არ არის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი, რომელიც არც პირდაპირ და არც ირიბად არ უკავშირდება კვალიფიკაციის მიმნიჭებელ საგანმანათლებლო პროგრამას და აქვს დამოუკიდებელი სწავლის შედეგი, ანუ ეს ჩამონათვალია, არ საჭიროებს ავტორიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს ჰქონდა ავტორიზაცია, უფრო სწორად იცით რა არის, ჩვენ ხომ დღეღევანდელი სააპელაციო საჩივარი უნდა განვიხილოთ მიზანშეწონილობის და კანონიერების თვალსაზრისით, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მთლიანად შეუჩერდა კოლეჯს საქმიანობა, რომელსაც გარდა პროფესიული სწავლის კუთხით სხვა კუთხით სწავლებასაც ეწეოდა, მაგ. საბუღალტრო საქმე, რომელიც არ ფინანსდება სახელწიფოსგან, არ არის პროფესიული სწავლის შესახებ კანონში მოქცეული და მთლიანად ამ გადაწყვეტილებამ იმოქმედა, როგორც ამ პროფესიულ დარგებზე, ისე ვთქვათ საბუღალტრო საქმეზე, რომ მთლიანად შეუჩერდა კოლეჯს ავტორიზაცია, მაშინ როცა კანონი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ თუკი რომელიმე დარგი ვერ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის პირობებს ის დარგი შეჩერებულიყო და დანარჩენს გაეგრძელებინა სწავლა, დანარჩენ სხვა პროგრამებს“.

ირაკლი ბურდულმა დაზუსტება მოითხოვა, რას ნიშნავდა, რომ მონიტორინგი ეხებოდა გარკვეულ პროგრამებს.

კოლეჯის წარმომადგენელი ლევან ტაკიძე: „ჩვენი სასწავლებელი 6 პროგრამაზე ახორციელებს სწავლებას. მარიამმა ოთხი აღნიშნა, სადაც დაფიქსირდა ცნობების გაცემა და დარღვევა, თუმცა გარდა ამ ოთხისა, იყო ბადის აღმზრდელის სპეციალობა და საბუღალტრო აღრიცხვის კურსები. რომელიც ასევე მოყვა გაუქმებაში და ამის აღნიშვნა უნდოდა მარიამს, რომ ეს იყო დისკრიმინაციული, რომ ერთიანად ყველა ერთად გაერთიანდა“.

ირაკლი ბურდულმა კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ მისთვის სწორედ ეს იყო გაუგებარი, რას ნიშნავს, რომ „ყველა ერთად გაერთიანდა“, მონიტორინგის შემოწმების ფარგლები, ვიზიტის ჯგუფის დისკრეციის ფარგლები ეხება ყველა იმ პროგრამას, რომელ პროგრამასაც ახორციელებს კოლეჯი და იურიდიული თვალსაზრისით პრობლემა არ არის. „თქვენ ეხლა მეუბნებით, რომ ეს ასე არ უნდა ყოფილიყო, ისე ჩანს თქვენი ლაპარაკიდან, რომ 6 პროგრამას ახორციელებს დაწესებულება, 4 პროგრამაზე იყო მონიტორინგი და ავტორიზაციის საბჭომ 4 პროგრამაზე მიიღო გადაწყვეტილება და მიაყოლა კიდევ 2 პროგრამა. მონიტორინგის ფარგლები რა იყო? მოიცავდა თუ არა ეს ექვსივე პროგრამას?“ - დასვა კითხვა საბჭოს თავმჯდომარემ.

მარიამ ქებაძემ უპასუხა: „მონიტორინგი როგორ განხორციელდა გეტყვით, გაზაფხულზე განხორციელდა სასწავლებლის სრული მონიტორინგი, რომლის ფარგლებში დადგენილი ხარვეზები აბსოლუტურად იქნა გამოსწორებული, თუმცა მერე აღარ შეუმოწმებიათ. რამდენიმე ათწლეულია, რაც ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი ჯერ უნივერსიტეტის, მერე კოლეჯის სტატუსით ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციას და მონიტორინგსაც გადიოდა, აკრედიტაციას გადიოდა და ავტორიზაციას. ამ დროის განმავლობაში თუ არ ყოფილა ეს ხარვეზები აღმოჩენილი, აღმოჩნდა ძალიან საეჭვოდ ამ ბოლო მონიტორინგის ფარგლებში და მონიტორინგი ეხებოდა რას, მოვიდნენ, მხოლოდ აი ეს, თითქოს წინასწარ იცოდნენ, რომ მხოლოდ ეს ოთხი საქმე იყო დარღვეული, ამ ოთხი ბავშვის პროგრამის შემოწმებას, ამ ოთხი ბავშვის პორტფოლიოების შემოწმებას, ამ ოთხი ბავშვის ნიშნების შემოწმებას, სხვა თითქმის არც არაფერი მოუკითხვათ, შესაბამისად, ცალსახა იყო, რომ ეს დარღვევები და ამ ბავშვებზე ცნობების გაცემა, თითქოს მიზანმიმართულად გაიცა ეს ცნობები და გადაიძალა, რომ კოლეჯისთვის მიეყენებინათ ზიანი. მესმის, რომ არ არის კარგი ქალბატონ ი.ხ. მიმართებით თითის გაშვება, მაგრამ რატომღაც ყველაფერი მის სამსახურიდან გაშვებას მოყვა - გადაიძალა ჟურნალები, პორტფოლიოები და ეს ყველაფერი გაქრა და უცებ მოდის მონიტორინგი და ზუსტად იმ ბავშვების სიას კითხულობს, რომელზეც იცის, რომ დარღვევაა. სხვა დარღვევა მონიტორინგს არ აღმოუჩენია. და ოქმში ნახსენებიც არის, გაზაფხულზე სრული მონიტორინგისას რატომ ვერ იქნა ეს დარღვევები აღმოჩენილი“.

ბორის ლეჟავამ კითხვა დაუსვა მარიამ ქებაძეს, როგორც მარიამმა ახსენა, პირველი მონიტორინგის დროს არ მოხდა ან ვერ მოხდა ამ დარღვევების აღმოჩენა, მას მაინტერესებს, ცნობები როდის იყო გაცემული პირველი მონიტორინგის შემდეგ თუ პირველ მონიტორინგამდე?

მარიამ ქებაძე უპასუხა, რომ ცნობები, სავარაუდოდ ყველა ცნობა, გაცემული იყო პირველი მონიტორინგის შემდეგ.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ყუფუნიაშვილმა კითხვა დაუსვა მარიამ ქებაძეს, საბჭო იხლავს რატომ არ იქნა გადამოწმებული, თუ, რაც იქნა გადამოწმებული, იმის ფარგლებში იქნა

თუ არა სწორად შეფასებული დარღვევები. მიზანმიმართული იყო, თუ არ იყო მიზანმიმართული, როგორც საბჭოსთვის ცნობილია, ცენტრში წერილი შევიდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის აჭარისა და გურიის სამმართველოდან, სადაც დაფიქსირდა მოქალაქე მ. დ.- ს განცხადება, რომელშიც მითითებულია, რომ შპს „ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში“ სტუდენტთა მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის გვერდის ავლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო სამსახური ითხოვს, ცენტრმა შეისწავლოს შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი“ - ს (ს/ნ 245409838) საქმიანობა. მონიტორინგის წარმოებაც კონკრეტულად ამ საკითხებზე ჩატარდა. როცა შემოვიდა ცენტრში ინფორმაცია აღნიშნული დარღვევების შესახებ, მონიტორინგის წარმოებაც მაშინ ჩაინიშნა, კონკრეტულ საკითხებზე. საქმეში ფიქსირდება ოთხი პირი და მონიტორინგიც სწორედ ამ მიმართულებით დაიწყო.

ნანა ყუფუნიას მიაჩნია, რომ როდესაც კონკრეტულად ამ საკითხებზე ითხოვს საგამოძიებო სამსახური მოკვლევას, ეს უნდა მოეკვლია ცენტრს, „მაგრამ, თქვენ ეხლა საუბრობთ, იმაზე რომ თითქოს სპეციალურად იყო განხორციელებული შესწავლა. არადა სპეციალურად როგორ განხორციელდებოდა, როცა საგამოძიებო სამსახურმა კონკრეტულად ამ საკითხების შესწავლა ითხოვა. იურისტი ბრძანდებით, მითხარით, იქნებ მე ვერ ვიგებ, ვერ ვხვდები ამ საუბრის არსი რა არის. მოდით კონკრეტულები ვიყოთ, რადგან ყველა დროში ვართ შეზღუდულები“ - დაამატა ქალბატონმა ნანა ყუფუნია.

მარიამ ქებაძე: „თუ ესე მიმითითებთ, ჩვენ უფრო გავწელავთ დროში. გიპასუხებთ, თუ დამაცდით. არსად არ არის დაფიქსირებული ჩვენი პოზიცია, რომ არ უნდა შეემოწმებინა ცენტრს, პირიქით მათ უნდა შეემოწმებინათ სრულყოფილად ყველაფერი, იმიტომ რომ ამ მონიტორინგის ფარგლებში მათთვის მიცემულ იქნა განმარტება, რომ ამ ოთხი ცნობის გარდა, მოდი სრულყოფილად გამოვიკვლიოთ ყველაფერი, იმიტომ რომ ჩვენ გეუბნებით რომ ეს ცნობები არის ტექნიკური ხარვეზები და ჩვენი სასწავლებლის ნების გარეშე გაკეთებული, რომლებიც მიზანმიმართულად გაკეთდა იმიტომ რომ სასწავლებელი დაეზიანებინა ვიღაცას. მოდით ყველაფერი ერთობლიობაში შეისწავლეთ და ადმინისტრაციული ორგანო რომ ხართ სწორედ ეგ გევალებათ, რომ 96-ე მუხლი პირდაპირ გავალდებულებთ, რომ ყველაფერი უნდა იყოს დასაბუთებული. მხოლოდ ერთი კონკრეტული გარემოება არა ყველა ფაქტობრივი გარემოება უნდა შეაფასო, იმიტომ რომ ერთი მტკიცებულება შეიძლება სხვა რამეზე მიუთითებდეს და სხვა მტკიცებულება ამას გამორიცხავდეს. ამას გედავებით ჩვენ. ჩვენ როდესაც განვიმარტეთ, რომ მოდი შეისწავლე ყველაფერი თანმიმდევრულად, თუკი აქამდე არ მქონდა დარღვევები და ეხლა გეუბნები, რომ ეს დარღვევები სასწავლებლის ნება კი არ არის, სასწავლებლის პოზიცია კი არ არის, არამედ რომელიღაცა კერძო პირის. თუკი ეს დარღვევები არ უქმნის სასწავლო პროცესს საფრთხეს, დაახლოებით 120 პირის ხელმოწერით იქნა გაგზავნილი განათლების მინისტრთან მოთხოვნა, რომ დაუყონებლივ აღდგენილიყო ამ კოლეჯის მიმართ ავტორიზაცია, იმიტომ რომ მათი უფლებები ირღვეოდა, თითოეული ბავშვი ყოფილიყო გამოკითხული, სწორედ ეგ არის ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, რომ ყველაზე მკაცრი სანქციით კი არ შემოიფარგლოს, არამედ კანონის აღმზრდელობითი ფუნქცია, პრევენციაა მთავარი. თქვენ უნდა გამოგვეკვლიათ, რომ ამ ოთხი ადამიანის მითითებით ეს არის მიზანმიმართული, სასწავლებლისთვის შემაფერხებელი და სასწავლებლისთვის ზიანის მომტანი ქმედება, რომელიც კონკრეტულმა პიროვნებამ დაგეგმა და განახორციელა. გამოიკვლიე სხვა ყველაფერი, რამდენად არიან სტუდენტები აქ სწავლით კმაყოფილები, რამდენად მიიღო ის განათლება, რომლის მიცემაც ევალებოდა ამ კოლეჯს, რამდენად დასაქმდა, რამდენად ბაზარზეა მოთხოვნადი ამ სტუდენტის დასაქმება, იმიტომ რომ ბათუმის ეს სასწავლებელი დასავლეთ საქართველოს წამყვან სასწავლებელს წარმოადგენს ფაქტობრივად. საბაჟო საქმე არსად არ ისწავლება ბათუმის ტერიტორიაზე გარდა ამ კოლეჯისა და ამიტომ ავტორიზაციის გაუქმების დროს თქვენ უნდა გემსჯელათ მიზნობრიობაზე,

რამდენად იყო ამ ხარვეზების გამო მიზნობრივი ეს გადაწყვეტილება, როცა ბავშვებს, დღეს დაახლოებით 50 ბავშვს სტატუსის შეჩერებაზე აქვს განცხადება დაწერილი, იმიტომ რომ არ მოუხერხდა ადგილმდებარეობის გამო, ფინანსური პირობების გამო სხვაგან გადასვლა და ქირის გადახდა, იმიტომ რომ ეს საბაჟო საქმე ფოთში ისწავლება და ფოთში ბინის ქირაობა ძალიან რთულია. თქვენ უნდა გემსჯელათ და დაგესაბუთებინათ ეს ხარვეზები რომლებიც გამოვლენილი იქნა და სხვა დარღვევები არ არსებობდა რამდენად იყო ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. მინიმუმ, შეგემლოთ რომ აგეკრძალათ სტუდენტების მიღება“.

ნანა ყუფუნიაშვილი უპასუხა, რომ სტუდენტთა მიღების აკრძალვის სამართლებრივი საფუძველი საბჭოს არ ჰქონდა.

ნინო ველთაურმა დასვა კითხვა, თუ რის საფუძველზე ზომავს დაწესებულება საბჭოს გადაწყვეტილების პროპორციულობას, თუ არის შესაძლებელი გაზომვის ინდიკატორები ბრძანონ. როგორც ითქვა, კოლეჯის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე პირმა სამხედრო სამსახურს აარიდა თავი.

ლევან ტაკიძემ იკითხა, იყო თუ არა ცენტრისთვის ცნობილი, რომ ერთ-ერთი ბავშვი ნ.დ. იყო ცხრა კლასის ატესტატით.

ნანა ყუფუნიაშვილი უპასუხა, რომ საბჭოს ოქმში არის ასახული აღნიშნული, საექთნო განათლების პროგრამაზე არასრული ზოგადი განათლებით იყო პირი დაშვებული. მას არ მიაჩნია მისაღებად კოლეჯის წარმომადგენელთა პოზიცია, რომ ამ ოთხ ცნობას, რომელზეც დაიწყო მოკვლევა, არანაირი კავშირი არ აქვს ხარისხის სტანდარტებთან. „იქნებ განგვიმარტოს დაწესებულებამ, რას ნიშნავს, რომ უგულვებელვყოთ ყალბი ცნობების გაცემის ფაქტები“ დაამატა ნანა ყუფუნიაშვილი.

ლევან ტაკიძე: „ჩვენ არ ვიძახით, რომ უგულვებელვყოთ საბჭომ, პირიქით ჩვენ გვინდა საბჭოს მივაწოდოთ ჩვენი ხმა, რომ ეს ცნობები იყო განზრახ დამზადებული და გაკეთებული შესაბამისი პიროვნებების მიერ. მინდა დავუბრუნდე ნ.დ. საქმეს, რომელიც წელს ვეტის სისტემის საშუალებით დარეგისტრირებულია საბაჟო განათლებით იმ პროგრამაზე, სადაც დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. განათლების სამინისტროს სისტემაში ეს ბავშვი დარეგისტრირდა და ჩვენი ბრალი არის იმაში, რომ ყურადღება არ მიექცა მის დოკუმენტაციას. მეორე შემთხვევაში ჯარის არიდებას რაც ეხება, 21-ე საუკუნეა და დღეს ნებისმიერი დოკუმენტის გაყალბებაა შესაძლებელი. სწორედ ამისთვის გვაქვს სახელმწიფო და ამისთვის არის მაკონტროლებელი ორგანოები, რომ მათ გადაამოწმონ ბაზებში და ჩვენ მოგვცენ შენიშვნა, ჩვენთან არ მომხდარა დაკავშირება თავდაცვის სამინისტროსი, იმის შესახებ, რომ მათთან ჩვენი გაცემული ცნობით მივიდა ბავშვი, რომელიც არ არის რეგისტრირებული განათლების სამინისტროს სიებში. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ხარვეზი ვლინდება. ჩვენ ვადიარებთ ჩვენს შეცდომას. ამ მსჯელობას ის მიზანი აქვს, რომ ის გადაწყვეტილება რაც მიიღო განათლების სამინისტრომ და ხარისხის ცენტრმა, რომ შეუჩერდეს ავტორიზაცია პროფესიულ სასწავლებელს, იყო უმკაცრესი ზომა. ეს იყო ფაქტიურად ლიკვიდაცია, რომელიც მოხდა შუა სასწავლო პროცესის დროს. გარდა ამისა, სრული შემოწმება გულისხმობს, სრული დოკუმენტაციის შესწავლას, რის დროსაც დაფიქსირებული უზუსტობების აღმოსაფხვრელად დაწესებულებამ გაიღო თანხები, ძალიან დიდი ფული. ჩვენ პირველი მონიტორინგის შემდეგ მივიღეთ ნებართვა, დავიწყეთ სასწავლო პროცესი და შუა სასწავლო პროცესში ვიღებთ ამ შეფასებას, როდესაც არ ხდება არავითარი გათვალისწინება ჩვენი შუამდგომლობის და პირდაპირ მიგვითითებთ, რომ ან გაასაჩივრეთ სააპელაციო საბჭოში ან სასამართლოში. გასაგებია, რომ გასაჩივრების უფლება ყველა ადამიანს გააჩნია, მაგრამ შუა სასწავლო პროცესის დროს, როდესაც სტუდენტი, მშობელი, დასაქმებული თანამშრომელი, ჩვენს ადმინისტრაციაზე

ადარ მაქვს ლაპარაკი, როდესაც ამდენი ოჯახი დგას უკან და ვადებზე არის აქ საუბარი, ზუსტად ამიტომ იყო მოთხოვნილი, რომ დაჩქარებული წესით განიხილეთ ეს საკითხი. სტუდენტები მოდიოდნენ გაურკვევლობაში, იყვნენ ეს ხალხი და დღესდღეისობით საბაჟო საქმის სტუდენტებს უწევთ ფოთში გაგრძელება სწავლის ან ხიჭაურში, ხიჭაურში თუ ხართ ნაყოფი სად არის? საპატრიარქოსთან არსებული კოლეჯი, ბავშვები ფიზიკურად ვერ ახერხებენ იქ ასვლას. აქედან გამომდინარე იყო ჩვენი ეს მონდომება, რომ საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება, რაღაც სხვა ზომის, მოგვცეს გამოსასწორებელი ვადა, ვიმსჯელოთ. საგამომიებო ორგანოები ისედაც დაინტერესებულები არიან ამ საკითხით და მიმდინარეობს ამ საკითხის გარკვევა. ჩვენ ამას კი არ გავურბივართ, მე ამის ახსნა მსურს საბჭოსთვის“.

ქრისტინე რზგოევამ მისცა საბჭოს განმარტება, რომ „რაც შეეხება საბაჟო საქმის პროგრამას, ბავშვები დარეგისტრირებულები არიან ბათუმის საზღვაო აკადემიის საბაჟო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ოთხი ბათუმში და თერთმეტი ფოთში, თუმცა ფოთს მიეცა იმის უფლება, რომ განახორციელოს სწავლება ონლაინ რეჟიმში. არ არის სწორი აპელირება იმაზე, რომ ბავშვები ფოთში ვერ ჩადიან. ყველა სტუდენტი არის დაკმაყოფილებული სათანადო განათლებით. რაზეც ქალბატონი მარიამი საუბრობს, ნიშნავს, რომ საბჭოს უნდა დაეხუჭა თვალი დარღვევებზე, რადგან მხოლოდ ამ დაწესებულებას ჰქონდა საბაჟო საქმის პროგრამა, და მიეცა კოლეჯისთვის უფლება, რომ გაეგრძელებინათ საქმიანობა“, დაამატა ქრისტინა რზგოევამ.

ლევან ტაკიძე: „განათლების სამინისტროს წინასწარ უნდა ჰქონოდა განსაზღვრული, თუ ჩვენ გვიუქმებდა ავტორიზაციას, რომ ყველა ეს ბავშვი დაკმაყოფილებული იქნებოდა ტერიტორიული ერთეულით“.

ირაკლი ბურდულის აზრით, არასწორია ასეთი მსჯელობა, მაგის პრევენციას სისტემა ვერ გააკეთებს. მაშინ ყველა აკრედიტებულ პროგრამასთან დაკავშირებით, ყველა ავტორიზებულ დაწესებულებასთან დაკავშირებით თავიდანვე უნდა გათვალისწინებოდა განათლების სამინისტრომ და სახელმწიფომ, ეს შეუძლებელი და გამორიცხულია. ეს არის არასწორი მსჯელობა იურიდიული თვალსაზრისით, საერთოდ საქართველოში რომ ერთადერთი დაწესებულება იყოს და ამ სასწავლებლის გარდა არაფერი არ არსებობდეს და ამ სასწავლებელს ჰქონდეს რაღაც დარღვევები და შესაბამისად ეს დარღვევები, როგორც არსებითი ხასიათის დარღვევებად იქნას შეფასებული, რა თქმა უნდა ავტორიზაციას შეექმნება საფრთხე. „თქვენი მსჯელობა იურიდიულ ლოგიკას ეწინააღმდეგება. ჩვენი ლოგიკა ის არის, რომ საერთოდ, რომ ერთადერთი კოლეჯი იყოს სახელმწიფოში, რომელმაც დავუშვათ, რომ ავტორიზაციის საბჭოს შეფასებით ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნა, იქიდან გამომდინარე, რომ ამ კოლეჯის გარდა სხვა კოლეჯი არ არსებობს სახელმწიფოში ეს ვერ შებოჭავს თავისი დისკრეციის ფარგლებში ავტორიზაციის, აკრედიტაციის და ა.შ. საბჭოს, რომ მიიღოს ის გადაწყვეტილება, რაც არ სურს რომ მას მიიღოს, თუმცა ასევე მოგვცებით ლოგიკაში, რომ საბჭო საკუთარი შეხედულებისა და დისკრეციის ფარგლებში აფასებს შეწონილობის საკითხს და ხარისხის საკითხს, რა „სანქცია“ გამოიყენოს, სრული უფლება აქვს, რომ გამოიყენოს ნაკლებად მძიმე „სანქცია“. ჩვენ სააპელაციო საბჭო ამის განხილვაში ვერ შევალთ. თქვენ მოგმართეთ დასაწყისშივე, რომ დაგეფიქსირებინათ თქვენი არგუმენტირებული და დასაბუთებული პოზიცია სააპელაციო საჩივარში ასახულ გარემოებებთან დაკავშირებით“, აღნიშნა საბჭოს თავმჯდომარემ.

ლევან ტაკიძე: „ჩვენი არც ერთი არგუმენტი არ იქნა განხილული საბჭოზე. და ჩემთვის პირადად, არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ეს ჭორაობას უფრო გავდა, მთელი ეს საუბარი, მე ეს ვნახე, მე ეს ვნახე და ა.შ. გატეხილი სეიფი, რომელიც ჩვენ გავჭერით ე.წ. „ბარგალკით“, რომ მოგვეძია ის დოკუმენტაცია, რაზეც საბჭო მიგვითითებდა, რომ სასწავლებელმა არ წარმოგვიდგინა, - არ კი არა, ვერ წარმოვადგინეთ, იმიტომ რომ გამქრალი

იყო ეს დოკუმენტაცია. მეც ეს საკითხები მაინტერესებს, რატომ არ მოხდა ამის, სამართლებრივ შეფასებას დავანებოთ თავი, ადამიანურ დონეზე განხილვა. ვინმეს არ ვახოცავ ხელს და აქ ერთ პიროვნებაზე არ არის საუბარი, აქ სასწავლებელი იღებს პასუხისმგებლობას, თუმცა იმ მომენტში, სადაც ჩვენ არგუმენტირებულად დადასტურებული გვაქვს ქალბატონი ი.ხ., როგორც იგივე სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელის, უსაფრთხოების ხელმძღვანელის, საქმისწარმოების, ხარისხის უზრუნველყოფას, ყველაფერს ეს ქალბატონი განაგებდა და ქალბატონი მ.დ., რომელიც საჩივარშია ნახსენები, დაქვემდებარებაში ჰყავდა, რატომღაც ყველაფერი ემთხვევა ისე, თითქოსდა სამინისტროს მხრიდანაც და ჩვენი შიდა სტრუქტურებიდან იყო რაღაც შეთანხმებული პოზიციები და მოქმედებდნენ ისე და სასწავლებლის პოზიცია არსად არ იყო გათვალისწინებული. აი ამის აღნიშვნა მინდა და დოკუმენტალურად და არგუმენტებზე მარიამს ვთხოვ გააგრძელოს“.

ირაკლი ბურდულმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, თუ ეს იყო განზრახ მიმართული კოლეჯის წინააღმდეგ, და ეჭვი აქვთ, რომ ვიღაც „X“ პიროვნება ახორციელებდა ამას, ხომ ჰქონდათ უფლება, მისთვის სამართალდამცავ ორგანოში ეჩივლათ. ეს უნდა ყოფილიყო მათი კოზირი ავტორიზაციის საბჭოსთვის.

მარიამ ქებაძემ განმარტა, რომ ამას აპირებენ.

ლევან ტაკიძე: „მე გავცემ პასუხს, მე დაახლოებით თვენახევარია ვასრულებ აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობას სასწავლებელში და პრობლემატური საკითხების, როგორც ფინანსური, ასევე, სტუდენტების მობილობასთან დაკავშირებული და ა.შ. ყველაფერში ვარ ჩახედილი უკვე. მე ვაგროვებ ინფორმაციას სხვადასხვა სახის დანაშაულებებთან დაკავშირებით ამ ქალბატონის მიერ. ბოლომდე მინდა რომ შევაგროვოთ ეს დოკუმენტაცია, რომ ქალბატონს გავცეთ სათანადო პასუხი“.

ირაკლი ბურდულს მიაჩნია, რომ ეს ყველაფერი დაგვიანებულია.

ბორის ლეჟავას მიაჩნია, რომ როდესაც დაწესებულების წარმომადგენელი ამბობს, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი, ეს არ არის ტექნიკური ხარვეზი. ეს არის სისტემური ხარვეზი, რომლის დროსაც გაიპარა ისეთი იურიდიული დოკუმენტის გაცემა ორგანიზაციის მხრიდან, რომლის საფუძველზე სხვადასხვა ორგანიზაციებმა სხვადასხვა პირების მიმართ სხვადასხვა გადაწყვეტილებები მიიღეს. „აქედან გამომდინარე, ავტორიზაციის საბჭოს პრეროგატივაში არ შევალ, მაგრამ თუ დაწესებულებას არ აქვს პროცედურები, რომლებიც ასეთი ტიპის ხარვეზის დაშვებას თავიდან იცილებს, აქ არის კითხვის ნიშნები. ბატონო ლევან თქვენ ახსენეთ, რომ თქვენ აღიარებთ ამ ხარვეზს და იცით რომ ხარვეზი არსებობდა, რაში გამოიხატება ეს ხარვეზი?“.

ლევან ტაკიძე: „ბატონო ბორის, სიტუაცია იყო შემდეგნაირი. ქალბატონმა ყოფილმა დირექტორმა, მთელი ელექტრონული ინფორმაცია წაგვიშალა, მათ შორის ემისის ბაზებიდან სტუდენტთა სიები, რაც ქალბატონ ნანის შეუძლია დაადასტუროს, რომ ჩვენ მივმართეთ მოგვიანებით განათლების სამინისტროს და ერთი დღით გაგვიხსნეს ფანჯარა და მოხდა ბავშვების რეგისტრაცია, თუმცა ისიც არასრულყოფილად. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი იყო არეული და ზუსტად მაგ დროს მოხდა ამ მსმენელებზე ამ ცნობების გაცემა, რომელზეც თვითონ ცნობაშიც აწერია დირექტორის სახელი და ხელმოწერა აქვს მოადგილის. ხარვეზი იყო იმაში, რომ არ უნდა ჰყოლოდათ პროფესიულ სასწავლებლებს მსმენელები. ეს იყო ჩემი გადმოსახედიდან ხარვეზი.“.

შორენა ჯაფარიძემ გაიზიარა ბორის ლეჟავას პოზიცია და აღნიშნა, რომ როცა საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი საბჭოსუარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისა, რომ საბჭომ დაინახა სისტემური ხასიათის ხარვეზები კოლეჯის ადმინისტრირებაში. „ეს არის სამწუხარო ფაქტი. იმიტომ რომ გვესმის, შეიძლება დაწესებულებას აქვს რაღაც არგუმენტები, რომ ეს მოხდა ამიტომ და ამიტომ, მაგრამ დაწესებულება, რომელიც არის ორიენტირებული ხარისხზე, ასეთი ხარვეზებს არ უნდა უშვებდეს. ამიტომაც ჩვენ მივიღეთ ამ ტიპის გადაწყვეტილება“, დაამატა ქალბატონმა შორენა ჯაფარიძემ.

ირაკლი ბურდულმა დააფიქსირა თავისი აზრი, რომ „შეიძლება მოხდეს ესეთი რამ და დაწესებულებას ყავს მტერი, მაგრამ პრევენციას რას აკეთებს. ამდენი ხანია გასული, რამდენიმე თვე, მითუმეტეს პროკურატურაში აღნიშნულთან დაკავშირებით საქმისწარმოება მიდის, სადაც შეიძლებოდა თავისუფლად ინტეგრირება შპს საჩივრის და პროკურატურაში შეტანის სხვა კუთხით. ერთი არის, რომ ორგანიზაციული ხარვეზია რაღაცა და მეორე თვითონ ორგანიზაცია რას აკეთებს ამისთვის, როგორ აღკვეთას ამას, ან როგორ იცავს თავს“.

ლევან ტაკიძე: „პრევენცია არის ის, რომ ქალბატონი ი.ხ. და ქალბატონი მ.დ. აღარ მუშაობენ უკვე სასწავლებელში. სასწავლებელს უკვე ყავს ჩემი სახით ახალი დირექტორი და ახალი სასწავლო ხელმძღვანელი და ზუსტად ამის მოწესრიგებაში, გაურკვეველობაში ე.ი საბუთების გაქრობაში ან სწორად გამიგეთ თავს კი არ ვიმართლებ“.

ნანა ყუფუნია აღნიშნა, რომ ეს არის რეაგირება და არა პრევენცია. ახალი დირექტორი იმის მერეა დანიშნული, რაც დადგა ფაქტი. კარგი გადაწყვეტილებაა და მისასაღმებელია, როცა ცვლილებები მიდის ორგანიზაციაში და ორგანიზაცია გრძნობს ამ ცვლილებების საჭიროებას დროულად, მაგრამ დროული არ იყო რეორგანიზაცია მენეჯმენტის. ეს გამოვიდა, რომ რეაგირება მოხდა მერე უკვე დამდგარ ფაქტზე. პრევენცია ცოტა სხვა რამეა.

ლევან ტაკიძე: „გეთანხმებით, ქალბატონო ნანა, თუმცა იმ დონემდე იყო საქმეები აღრეული ერთმანეთში, რომ ამას გარკვეული პერიოდი ჭირდებოდა, ჩვენ თვითონ რომ გავრკვეულიყავით რა ხდებოდა, რეალობა რომ დაგვენახა“.

ნანა ყუფუნია მზაობა გამოთქვა ყველაფერი გაეზიარებინა, გარდა ერთისა, „მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს კომპეტენცია არ არის საგამოძიებო ნაწილი, ვიღაცამ თუ გასაღები დაკარგა და „ბარგალკით“ გასაჭრელი შეიქმნა სეიფი, როგორ შეიძლებოდა ამ ფაქტის გაკეთება ისე, რომ შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინება არ განხორციელებულიყო, რომ ესეთ ფაქტს აქვს ადგილი, გამიზნულ ფაქტს, რაზეც საუბრობს კოლეჯი და პრევენციულ მექანიზმებზე საერთოდ არ საუბრობენ. კოლეჯის მხრიდან რომ ყოფილიყო შესული განცხადება სამართალდამცავ ორგანოებში, მაშინ საბჭო ნამდვილად გაიზიარებდა მათ პოზიციას. როდესაც სტუდენტების, რომელთა უფლებებზეცაა საუბარი, ბედი წყდება, ავტორიზაციის საბჭოსთვის რეგიონში განმახორციელებლისთვის უარის თქმა არის უმძიმესი გადაწყვეტილება. ყველა ნაწილს ვებლაუჭებოდით, რომ დავინახოთ გამოსწორების პოტენციური მაქსიმალურად იმ ვადებში, რაც ჩვენ გვაქვს, მაგრამ ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე სტანდარტზე, მეხუთეზე არის სულ უარყოფითი დასკვნები, ამას აღიარებენ და თან ვერ ხედავენ ამის სიმძიმეს, კოლეჯის ახალი ხელმძღვანელი არ ესწრებოდა ავტორიზაციის საბჭოს სხდომას, რის საფუძველზე უნდა მიიღოს საბჭომ დადებითი გადაწყვეტილება, როცა კოლეჯს არ აქვს განვითარების გეგმა, პლიუს ვერ აცნობიერებს იმას, რომ ამ ცნობებით საბჭომ კი არ დაარღვია სტუდენტების უფლებები, სტუდენტების უფლებები კოლეჯმა დაარღვია. მესმის ტკივილი რაც ახლავს ამ პროცესს, მაგრამ ეს არის საგამოძიებო სამსახურის პრეროგატივა. რამდენი ფაქტორი არის, სად არის აქ მექანიზმი, როგორ ვიმსჯელოთ ჩვენ ეხლა იმაზე, რომ ხელახლა განვიხილოთ. ვთქვათ

ბატონმა ირაკლიმ და სააპელაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაგვიბრუნოს საკითხი ხელახალი განხილვისთვის, რა უნდა შევისწავლოთ თავიდან, ის რომ გამიზნულად ვიღაცამ გაიტაცა დოკუმენტები? ამას ვერ შევისწავლის ავტორიზაციის საბჭო, ვიღაცამ რომ ეს დოკუმენტები გამიზნულად დაგიკარგათ, ამას ჩვენ ვერ შევისწავლით“, დაამატა ქალბატონმა ნანა ყუფუნიაძე.

ნანი დალაქიშვილმა განუმარტა საბჭოს, რომ მონიტორინგის ბრძანებაში ცალსახად არის განსაზღვრული შემოწმების ფარგლები. მონიტორინგი გამიზნული იყო იმ თვალსაზრისით, რომ პროკურატურის შეტყობინება იყო, მაგრამ, ასევე მხოლოდ პროკურატურის შეტყობინებაში დაფიქსირებულ ფაქტებზე არ აგებულა მონიტორინგი, არსებობს სამსახურის სამსახურებრივი ბარათიც, რომელშიც ვაფიქსირებთ, რომ ამ ფაქტებთან ერთად იკვეთება ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევების შესაძლო ფაქტებიც, ამიტომ ყველა სტანდარტით განხორციელდეს მონიტორინგი. მართლაც, ჯგუფი შევიდა ისე, რომ ყველა ინსტიტუციური სტანდარტი განიხილეს და მისი შესაბამისი ინდიკატორები და პლიუს გადაამოწმეს ის ფაქტები, რომლებიც პროკურატურის წერილში იკვეთებოდა კონკრეტულ ადამიანებთან დაკავშირებით. გამოვლინდა იმაზე მეტი, ვიდრე იმ შეტყობინებაში, ასე რომ შემოწმების ფარგლები სამართლებრივად იყო დადგენილი/ბრძანებით იყო განსაზღვრული. მეორე დასკვნაში მითითებულია როგორც ინსტიტუციური სტანდარტების, ასევე პროგრამული სტანდარტის ხარვეზები. ანუ მხოლოდ პროგრამულ სტანდარტში არ ფიქსირდებოდა დარღვევები. ეს რაც შეეხება ბოლო მონიტორინგს, თუმცა როგორც აღინიშნა, მანამდეც იყო დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელებული, გაზაფხულზე, იმ მონიტორინგის შედეგები ჯერ 10 ივნისს განიხილა საბჭომ და გადაავადა და 12 ივლისის თარიღით გაგრძელდა განხილვა, დაგვავალეს დამატებითი მოკვლევა, რაც განხორციელა ცენტრმა და საბჭომ ოქტომბრის თვეში განმეორებითი მონიტორინგის ჩანიშნა, თუმცა სექტემბერში შემოსული საჩივრის საფუძველზე დაიწყო არაგეგმიური მონიტორინგი. ამ პერიოდში არანაირი ნაბიჯები არ გადაუდგამს დაწესებულებას სისტემურ დარღვევებთან მიმართებით. არანაირი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად ქალბატონი ი.ხ. არ ფიქსირდება, ცნობებს ძირითადად დირექტორი ამირან ტაკიძე ან მისი მოადგილე გ.ბ. აწერს ხელს.

კახაბერ ფარცვანიამ დასვა კითხვა, „რომელზეც პასუხი ყველამ იცის, რამდენად აქვს უფლება ზოგადად საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისა და მოკვლევის საბჭოს, და რა თქმა უნდა არა აქვს და საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სტანდარტების უარყოფითი შეფასებების საფუძველზე. სასურველია მსჯელობა წარმართოს საბჭოს გადაწყვეტილების მართებულობაზე და არა იმ მიმართულებით, ვიღაცა ქალბატონმა მოაწერა ხელი ცნობას, ვიღაცამ რაღაცა დაამწვა თუ სხვა. მგონია, რომ ცოტა არა არსებითად მივდივართ და არასწორი მიმართულებით“, აღნიშნა ბატონმა კახაბერ ფარცვანიამ.

აკაკი ხელაძე მიესალმა საბჭოს და აღნიშნა, რომ რაც უფრო მეტი დრო გავა დისკუსიაში, პროცესის ეფექტურობა დაიწევს და თუ არის შესაძლებელი, რომ რაღაცნაირად რამდენჯერმე ერთიდაიგივე მონათხრობის გამეორება ნუ მოხდება, იმიტომ, რომ ესეც წაგვიყვანს არაეფექტურობისკენ და შესაძლებელია რეგლამენტი დავაწესოთ, რომ დროში უფრო ეფექტურად წარმართოს სხდომა.

ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ მისი აზრით მარიამს უნდა მიეცეს სიტყვა, როგორც დაწესებულების იურისტს, რომელიც სპეციალურად ამ პროცესისთვის არის ჩართული და მითუმეტეს თვითონაც ახსენა, რომ მოგვიანებით შემოუერთდა პროცესებს. „თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერს აქვს ფარგლები და დაუსრულებლად არ უნდა ვისაუბროთ საგამომიებო

პროცესების და საგამომიებო სამსახურის კომპეტენციის ირგვლივ. გვითხარით იურიდიული დასაბუთება სააპელაციო საჩივარში მოცემულ ფაქტებთან დაკავშირებით“, დაამატა ბატონმა ირაკლი ბურდულმა.

მარიამ ქებაძე: „პირველ რიგში, ქალბატონ ნანის გავცემ პასუხს, თუ რა პრევენციული ზომები მიიღო დაწესებულებამ გაზაფხულზე განხორციელებული მონიტორინგის შემდეგ დადგენილ ხარვეზებზე. პირველი ის, რომ როგორც კი დადგინდა ქალბატონი ი.ხ. ბოროტად იყენებდა თავის უფლებამოსილებას, 7 მაისს გათავისუფლდა ის დაკისრებული მოვალეობისაგან. პირველი პრევენციული ზომა იყო ის, რომ ქალბატონი ი.ხ. ჩაეხსნა ამ სასწავლო პროცესებს. ამის შემდეგ, 7 მაისის შემდეგ, ხდება ყველა ეს ქმედება, 7 მაისის შემდეგ არის ყველა ეს ცნობა გაცემული, თითქოსდა სწორედ მისი დაგეგმილი, მისი განხორციელებულია ყველა ეს შემდგომი განვითარება რაზეც იმსჯელა აკრედიტაციის საბჭომ და გადაწყვეტილების მართებულობაზე, ის რომ დარღვევები აღმოჩნდა, ტექნიკური ხასიათისას ვუწოდებთ ჩვენ და თქვენ სხვა რამეს უწოდებთ და დარღვევა რეალურად იყო, მაგრამ ამ დარღვევების საფუძველზე, რამდენად მიზანშეწონილი იყო ყველაზე უმკაცრესი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ლახავდა არამხოლოდ სასწავლებლის უფლებამოსილებას, არამედ პირდაპირ აისახებოდა სტუდენტებზე. ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რასაც იღებს აკრედიტაციის საბჭო, მე ვიცი, რომ შეუძლია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის გადაწყვეტილება მიიღოს და დანარჩენი კუთხით კოლეჯს, როგორც კერძო კოლეჯს გაეგრძელებინა ფუნქციონირება, იმიტომ რომ ეს დარღვევა, რომელიც მსმენელებს, ეხება, ოთხი ადამიანი რომელიც მსმენელის სტატუსით მიღებულ იქნა უნივერსიტეტში, სასწავლებელში გამოცდების ჩაბარების გარეშე, აი ამას მოყვა ყველაფერი. თუ ამას კერძო კოლეჯი კანონით არ კრძალავს, გაეგრძელებინა საბუღალტრო, სააღმზრდელო საქმიანობის წარმოება კოლეჯს და არ შექმნოდა ამ ბავშვებსაც პრობლემა, ეს დისკრიმინაცია დადგა მათ მიმართ ცალსახად, იმიტომ რომ მათ ჩააბარეს კოლეჯში, რომელსაც არ სჭირდება ამ კუთხით გამოცდების ჩაბარება, შეუძლია შეიტანონ განცხადება და თავისუფალი მსმენელები იქნებიან, თუ სტუდენტები იქნებიან თვითონ განსაზღვრონ, კოლეჯი რა განათლებას მისცემს. ამიტომ გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო აკრედიტაციის საბჭომ, ოქმს თუ ნახავთ და დასკვნას, დასკვნის შემდეგ, როდესაც კოლეჯმა წარადგინა თავისი პოზიცია, არაფერი არ არის გათვალისწინებული, გადმოტანილია, გადმოკოპირებულია მსჯელობა, რის საფუძველზე მივიდნენ, რომ ყველაზე მკაცრი სასჯელი უნდა გამოყენებულიყო და ეს ყველაზე მკაცრი სასჯელი უზრუნველყოფდა კანონის დაცვასა და არა დარღვევას მე ამ ოქმში ვერ დავინახე. ჩემი ზარით ეს ოქმი პირდაპირ არღვევს საქართველოს კონსტიტუციას განათლების უფლების შესახებ“.

რევაზ ფუტყარაძე: „მოგესალმებით, მე მხარს ვუჭერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარს. ეხლა თქვენ დარგის ცნობილი სპეციალისტი (*მიმართავს საბჭოს თავმჯდომარეს*) ბრძანდებით. ერთ ვიტყვი, რომ სპეციალური კანონი პროფესიული განათლების შესახებ, საქართველოს კანონი, იძლევა ტერმინების განმარტებას, და იქ ერთი ასეთი, მეხუთე მუხლის „ა“ პუნქტში არის „მსმენელი“, კანონი ამბობს ვინ არის მსმენელი - მსმენელი არის, პირი რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე. ოცდამეცხრე მუხლი კიდევ ამბობს ვის რა უფლებები აქვს და სტუდენტთან ერთად ეს კანონი განიხილავს მსმენელს. ჩვენ გვაქვს ასეთი მოცემულობა ფაქტები უნდა შევაფასოთ იურიდიულად, სამართლებრივად. ეს კანონი იძლევა მსმენელის სტატუსს და ფაქტია, რომ ის ოთხი პირი მიღებული იყო ამ სასწავლებელში მსმენელის სტატუსით. კანონში ასე წერია მსმენელის განმარტება და ჩვენმა სასწავლებელმა ეს კანონი ასე გაიგო, რომ გვქონდა უფლება მსმენელად მიგველო ეს ოთხი პირი. ჩვენ რომ გავეცით ცნობები, იქ არ წერია რომ სტუდენტიაო, იქ წერია ამ მოსამზადებლის ამბავზე. ეს არის ფაქტი და ჩვენ გვაქვს ასეთი შეფასება სამართლებრივად, რა ისეთი უხეში დარღვევა არის, რომ

აკრედიტაცია მთლიანად გავაუქმეთ. აი ეს არის საკითხი და ამდენად ეს საკითხი არასწორად არის შეფასებული. ის რომ ჩვენ არ უნდა მიგვეღო, ეს უდავოა, მაგრამ ფაქტი ფაქტია და მოხდა, მაგრამ ჩვენ ამ კანონს ასე განვმარტავთ, ასე განვმარტავთ „მსმენელის“ სტატუსს. გთხოვთ, ამასაც მიექცეს ყურადღება. ეს თუ ხარვეზად არის მიჩნეული, ეს არ არის დენადი ხარვეზი, რომ ყველაზე მკაცრი ღონისძიება იქნას გატარებული, რამეთუ შეიძლებოდა იქ 60 დღიანი ვადის გამოყენება. ჩვენ კიდევ მზად ვართ ხელახლა მოხდეს შემოწმება, თუკი რამე კითხვები აქვს საბჭოს“.

შორენა ჯაფარიძემ საჭიროდ ჩათვალა, კანონის განმარტება გაეკეთებინა, კერძოდ, აღნიშნა, რომ მსმენელის სტატუსი ეხება მომზადება-გადამზადების პროგრამებს, რომელი ტიპის პროგრამებიც, კოლეჯს არ აქვს. ეს არის პროგრამები, რომლებზეც უფლებამოსილებას გასცემს ხარისხის ცენტრის ადმინისტრირებით შესაბამისი საბჭო. მხოლოდ ამ პროგრამებს ეხება განმარტება „მსმენელის“. სამწუხაროდ, კანონი ვერ გაგიგიათ სწორად, დაამატა ქალბატონმა შორენა ჯაფარიძემ.

ქრისტინე რზგოევამ აღნიშნა, რომ როცა სასწავლებელი კანონსაც არასწორად განმარტავს, რაც არის ძალიან დიდი პრობლემა.

მარიამ ქებაძე არ დაეთანხმა იმ საკითხში, რომ კანონს არასწორად განმარტავს სასწავლებელი.

რევაზ ფუტკარაძე: „ამდენად, ეხლა რა მოხდა, ავტორიზაცია გაუუქმდა, ფაქტიურად სასწავლებლის სტატუსი დაკარგა ამ ორგანიზაციამ და ეს არის ყველაზე მკაცრი ღონისძიება, სადამსჯელო ღონისძიება. გასაგებია, რომ პასუხიმგებელია მთლიანი ორგანიზაცია, ჩვენ ამას არ გავურბივართ, მაგრამ შეფასების კუთხით არის, რომ ეს არის მკაცრი ღონისძიება. არ დაგიმაღლავთ და ჩვენ ამ საჩივარში, ბატონი ირაკლის პრაქტიკაც დავამუშავეთ და თქვენი გადაწყვეტილებებიც დავამუშავეთ მსგავს საქმეებზე და მითითებული გვაქვს ჩვენ. ჩვენ გვაქვს ასეთი სიტუაცია, რომ ჩვენ დარღვევებს არ გავურბივართ, რაც იყო დარღვევები. გასაგებია, რომ „მსმენელი“ არ უნდა ჰყოლოდა და ეხლა გვყავდა, გასაგებია, მაგრამ ეხლა ხომ აღარ გვყავს ან კიდევ ხომ არ გვეყოლება და რა ისეთი დარღვევა ჩავიდინეთ. სამართლებრივად შესაფასებელი სტუდენტების საკითხი ეს ჩვენი სტუდენტები ხომ არ იყვნენ, მსმენელები იყვნენ, ვინმე ამბობს, რომ ესენი ჩვენ სტუდენტებად მივიღეთ? არა, ჩვენ სტუდენტები არ გვყოლია. ამდენად, ამ გადაწყვეტილებით მთლიანად იქ სტუდენტების უფლებები რომ დაირღვა და სტუდენტების ჩარიცხვის წესი დაარღვია თუ არა სასწავლებელმა. ჩვენ სტუდენტების მიღების, ჩარიცხვის წესები კი არ დაგვირღვევია, ჩვენ დავარღვიეთ მსმენელად, რომ მივიღეთ პიროვნება და არ უნდა მიგვეღო“.

შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ კოლეჯს არსად არ უწერია, რომ „მსმენელის“ სტატუსით პირი შეეძლო მიეღო. საბჭოზეც იყო ამაზე საუბარი, რომ სტატუსი „მსმენელის“ იმ გაგებით, როგორც კოლეჯს ესმის, არ არსებობს პროფესიულ განათლებაში. ვფიქრობ, „მსმენელთან“ დაკავშირებით არგუმენტაცია თქვენთვისაც არ არის მომგებიანი ამ შემთხვევაში, დაამატა ქალბატონმა შორენა ჯაფარიძემ.

რევაზ ფუტკარაძე: „ბოდიშს ვიხდი, მაგრამ კანონში წერია ასე, „მსმენელი“ ვინ არის და მე სხვანაირად ვერ განვმარტავ. და სამართლებრივად ეს იმ ღონის დარღვევა არ არის, რომ მთლიანად ავტორიზაცია გავაუქმეთ. ეს არის საკითხი, ყველაზე მძიმე გადაწყვეტილება მივიღოთ, ამას ვამბობთ ჩვენ. სხვადასხვანაირად შეფასდა ფაქტობრივი გარემოებები, კითხვას ვსვამთ, მთავარი დარღვევა რა არის, რომლის საფუძველზეც ავტორიზაცია გაუუქმდა სასწავლებელს? მთავარი დარღვევა თურმე ეს არის, ასე მიიჩნევს საბჭო, რომ ჩვენ მივიღეთ „მსმენელები“ ქვეყანა დავაქციეთ და ა.შ. აქ არის საკითხი, რომ კანონში წერია „მსმენელი“ ვინ

არისო, პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, ჩვენ გვეგონა, რომ გვექონდა უფლება და ოთხი პირი მივიღეთ, ხომ აღარ მივიღებთ მომავალში, არა? გვეცოდინება, რომ აღარ უნდა მივიღოთ და ეხლა ამის გამო ავტორიზაცია მთლიანად გაგვიუქმდა, გაუქმდა სასწავლებელი. ამას ვამბობთ ჩვენ სამართლებრივად, რომ ეს არ არის სწორი სამართლებრივად, გამოკვეთილი არ არის, დასაბუთებული არ არის და მითითებული გვაქვს ჩვენს სააპელაციო საჩივარში. წინა საბჭოს დროს შეიძლება ჩვენ ბევრი საკითხები ვერ განვიხილეთ, ვერ დავაყენეთ. ჩვენ დავაყენეთ ის, რაც იყო, ჩვენ არ გავურბივართ სიმართლეს, მე მაქვს ასეთი მოსაზრება, რომ რა მოხდა ისეთი, რა ისეთი საშინელება დატრიალდა ამ სასწავლებელში, რომ გავაუქმეთ ავტორიზაცია. ეხლა მეორე საკითხი, მარიამმა რომ დაიწყო შეჩერებაზე, ადმინისტრაციული აქტის შეჩერებაზე, ჩვენ ისიც მოვითხოვეთ სააპელაციო საჩივრით, მოთხოვნილი გვაქვს დროებითი ღონისძიების გამოყენება. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ბრძანდებით და თქვენს საქმიანობაზე ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს უფლება, რომ გამოიყენოს ეს ღონისძიება. ეს სააპელაციო საჩივარი ჩემი მომზადებულია და თუ რამე ხარვეზებია მე ვაგებ პასუხს, მაგრამ ისიც მიწერია მე მეორე პუნქტში - სარეზოლუციო ნაწილი სააპელაციო საჩივრის, რომ გამოიყენოთ დროებითი ღონისძიება და შევაჩეროთ ადმინისტრაციული აქტის მოქმედება. ეხლა რა გავაკეთეთ, თუ იმ დაწესებულებაში მოხდა, რომ ის ოთხი მსმენელი გვყავდა, იქ ეხლა ცნობა იქნა გაცემული, იქ არ ჩანს, რომ სტუდენტი იყო, ნამდვილად არ ჩანს. ზემდგომ ერთ-ერთს წარუდგენია გადავადებაზე სამხედრო სამსახურის, იმ სამხედრო სამსახურს არ გადაუმოწმებია და ამით მძიმე შედეგი კი არ დამდგარა, ზიანი რა დადგა კითხვას ვსვამ. აი ამ ქმედებებით რა სახის ზიანი დადგა სამართლებრივად? და რა ისეთი ცუდი რაღაცა მოხდა, რომ ჩვენ მივიღეთ ესეთი შედეგი. ჩვენ გვაქვს ასეთი სიტუაცია სამართლებრივად, რომ ეს გამოყენებული ღონისძიება არის ყველაზე მკაცრი და არ უნდა იქნეს გამოყენებული. ფაქტობრივი გარემოებები ამ ნაწილში არასწორად არის შეფასებული. ეხლა დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს, შეიძლება მიიღოს დისკრეციული უფლებამოსილება. მე გეთანხმებით ბატონო ირკალი, თქვენ არ ხართ სასამართლო, თქვენ ხართ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო და დიახაც, მაპატიეთ მაქვს მე უფლება განვაცხადო ჩემი მოსაზრება, როდესაც ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციულ უფლებამოსილებას იყენებს და ეს გადამეტებულია და ყველაზე მკაცრია, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, იმიტომ რომ კანონი ითვალისწინებს, საბჭო დღეს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას კი არ იღებს, სპეციალური კანონით არის მოწესრიგებული, რომ თქვენ უნდა ორი გადაწყვეტილება მიიღოთ ან უარი უნდა გვითხრათ ან უნდა დაავალოთ ხელახლა გამოიკვლიონ. დიახაც, ხელახლა უნდა იქნას გამოკვლეული დისკრეციული უფლებამოსილების საკითხი, რომ როდესაც სასწავლებელი აღიარებს ამ ფაქტს, ოთხი სტუდენტის საკითხი, და ეს რამდენად არის ყველაზე მკაცრი ღონისძიება, რამდენად არის დიახაც კანონიერების საკითხი, მიზანშეწონილობის საკითხი. ეს ყველაფერი სააპელაციო საჩივარში დაწერილი მაქვს და მითითებული მაქვს, პლაგიატი რომ არ გამოვიდეს, სამეცნიერო ნაშრომი არ არის ეს და დისერტაცია არ არის და ვთქვათ, სტატია არ არის და ისიც მივუთითე, რომ რასაც დავეყრდენი ამ საკითხის დროს. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს ასეთი სიტუაცია, დღეს რა მოხდა, ამ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტით, ავტორიზაცია გაუუქმდა, ის კი არა, მე ისიც დავწერე, სამართლებრივად, მე ეხლა არ დაგიმაღავთ საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ვარ, ძირითადად სამოქალაქო საქმეებზე ვმუშაობ და საგადასახადოზე, მაგრამ ერთს ვიტყვი კიდევ, საინტერესო საკითხია სამართლის განვითარებისათვის. რას ვიტყვი ეხლა: ის ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც ჩვენ მოგვენიჭა კოლეჯის სტატუსი ძალაშია. არ ვიცი, მე შეიძლება ვცდები და სხვანაირად განვმარტავ. ეხლა რა მოხდა, ის ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც ჩვენ უფლებები გვექონდა ძალაშია, ახალ ადმინისტრაციულ აქტში რა წერია, მხოლოდ გაუქმდა ავტორიზაცია. ანუ ეხლა, რა გამოდის ეხლა აქ, ის აქტი ძალაშია, ახალმა აქტმა ავტორიზაცია გაგვიუქმა და ა.შ. იურიდიულად რომ შევაფასოთ ეს საკითხი, ჩვენ ეხლა

გასაგებია, ეს „მსმენელის“ საკითხი ჩვენ ვთვლით რომ სწორად გავიგეთ და თურმე არასწორია, ქვემდგომმა ორგანომ, რომლის აქტის კანონიერება იხილება, სხვანაირად შეაფასა, თქვენ ზემდგომი ორგანო ბრძანდებით და შემაჯამებელი გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ, თქვენი გადაწყვეტილება საბოლოო არ არის და მერე უნდა წავიდეთ ჩვენ სასამართლოში და თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მზად ვართ ამისთვის, იმიტომ რომ ჩვენ ერთხელ უკვე მივმართეთ სასამართლოს და შევცდით რაღაცეებზე. კი ბატონო, კიდევ წავალთ. არ დამთავრდება ეს საკითხი და დრო უნდა დავკარგოთ და ა.შ. ჩვენ კიდევ ერთხელ გთხოვთ, რომ ჩვენ არ გავურბივართ დარღვევებს, რაც გვქონდა ჩვენ. ეს დარღვევები რაც არის დაფიქსირებული, იმ ხარისხის არ არის, ვიმეორებ, ისეთი შინაარსის, მნიშვნელოვანი დარღვევები არ არის, რომ გავაუქმოთ ავტორიზაცია. ეხლა აქ არის ესეთი საკითხი, სისხლის სამართლის არ შეგვეშინდეს, არც ჩვენ გვეშინია, მასალები გადმოიგზავნაო და შევამოწმებთო. ეხლა იქ რა ხდება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მე რომ გავაგზავნო განცხადება კენედი მე მოვკალი-მეთქი, ავტომატურად იწყება ძიება, ის არაფერს არ ნიშნავს იქ. იქედან გამომდინარე, ეს ცნობები არ არის ყალბი, ყალბი ნიშნავს სულ სხვა რაღაც დარღვევას, შინაარს. არ არის აქ დოკუმენტის სიყალბე. ცნობა გაცემულია იმაზე, რაც რეალურად იყო. ანუ ეს ჩვენ გავეცით იმაზე, რომ გვყავდა „მსმენელად“ მიღებული პირები და ვამზადდებით. ეხლა აქ მეორე საკითხი დაისვა, ჩაეთვლებოდა თუ არა იმ მსმენელს, რომელსაც ჩვენ მივალდებინეთ განათლება შემდგომ პროგრამაში - არა, არ ჩაეთვლებოდათ. ეხლა სიმართლე რომ გითხრათ ამ საჩივარს რომ ვწერდი, ცოდვა გამხელილი ჯობია, მე საზღვარგარეთის პრაქტიკას არ ვიცნობ, სხვაგან ყოფილა „თავისუფალი მსმენელის“ სტატუსი. ამიტომ ჩვენ ეს არ ვიცოდით. იმას რა თქმა უნდა არ ჩაეთვლებოდა, იმას ხელახლა უნდა ჩაებარებინა გამოცდები, ეს სამოქალაქო შინაარსის ურთიერთობებია ჩვენი იმ მსმენელებთან, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობთ, რომ პრევენცია მოხდენილია, მსგავსი „მსმენელები“ აღარასოდეს გვეყოლება და ისეა დაშინებული ეს სასწავლებელი, რომ მსმენელი კი არა, ეხლა ასმაგად გავცხრილავთ ყველაფერს. ამიტომ კიდევ ერთხელ მოგვეცით საშუალება, რომ გადარჩეს ეს სასწავლებელი. თუ შესამოწმებელია კიდევ შემოდით და შეგვამოწმეთ, არ არის პრობლემა, არ გავურბივართ. თუ რამე დამატებით გამოსასწორებელია, იქ ცხრილებთან დაკავშირებით. გეგმებთან დაკავშირებით, ყველაფერს გამოსასწორებს ეს სასწავლებელი და მზად არის რომ გააგრძელოს საგანმანათლებლო საქმიანობა. აი ეს არის ჩემი პოზიცია, დიდი მადლობა“.

ანა საბახტარიშვილმა მადლობა გადაუხადა ყველა მონაწილეს და აღნიშნა, რომ ორი საათია ცდილობს, რომ პუნქტობრივად გაჰყვეს იმ დარღვევებს, რომლებიც იყო მოცემული ოქმში და ზოგადი ფრაზების გარდა და ზოგადი განწყობის და ემოციური დამოკიდებულების გარდა, კოლეჯისგან ვერ მოისმინა კონკრეტული არგუმენტაცია. ბევრი იყო მსჯელობა იმ პირველ საკითხზე, ჩარიცხვებთან დაკავშირებით, მაგრამ მიაჩნია, რომ ერთ-ერთი სერიოზული დარღვევა, რომელიც, სასწავლო პროცესისთვის მნიშვნელოვანია, ეს არის იგივე პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულების არარსებობა. საერთოდ, როგორ ხდებოდა ფარმაციის სტუდენტების გამოშვება, თუ არ არსებობდა ხელშეკრულებები და სტუდენტები არ დადიოდნენ აფთიაქებში. ასევე, შიდა დოკუმენტაცია, შეფასების სისტემების არსებობა. „ჩვენ ეხლა დავანებოთ თავი იმ სტუდენტებს, რომლებიც მსმენელები არიან, ვინც ნადვილად არიან სტუდენტები პროფესიული კოლეჯის პროფესიული პროგრამებზე, მათ როგორ უვლის კოლეჯი, ამასთან მიმართებით როგორი სტანდარტებია კოლეჯში დაწესებული მე პირადად ვერ ვხვდები, ამას რომ გავუყვეთ ბატონებო, ბოდიში და ყოველგვარი ბელეტრისტიკის გარეშე. მე პირადად ძალიან მოტივირებული ვარ, რომ მოვისმინო თქვენი არგუმენტი. მჯერა, რომ სააპელაციო საჩივარი მარტო იმიტომ იქნა შემოტანილი, რომ თქვენ გჯერათ რომ მართლები ხარ, იმიტომ რომ სხვაგვარად ძალიან გამიკვირდება, რომ სისხლის სამართლის ნიშნების არსებობის პირობებში კოლეჯმა სააპელაციო საჩივარი შემოიტანა. ამიტომ მოვისმენთ დიდი სიამოვნებით“, დაამატა ქალბატონმა ანა საბახტარიშვილმა.

ნინო ველთაურის აზრით, რასაც ეხლა საბჭო ისმენს, საბჭოს წევრებს ერთი სამწუხარო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას აძლევს, რომ „ჩვენს სისტემაში გვყავს დაწესებულებები, რომლებსაც სჯერათ, რომ ეს დარღვევები რაც არის, ეს არ არის მნიშვნელოვანი დარღვევები, რომ ეს დოკუმენტები არ არის გაყალბებული დოკუმენტები. რის საფუძველზეც, მე მივმართავ ხარისხის განვითარების ცენტრს, რადგან, მერე რა რომ ხარისხის ცენტრის მიერ დაწესებულ სტანდარტების ყველა პუნქტს არღვევდნენ, ჩვენ მაინც ყველაფერს ლოიალურად უნდა მიდგომოდა, ჩვენ გვაქვს სერიოზული პრობლემები და მე ვფიქრობ, რომ ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა კიდევ უფრო უნდა გაამკაცროს ერთის მხრივ მონიტორინგის მეთოდები და მეთოდოლოგია და მეორეს მხრივ, ცნობიერების ამაღლებაზე უნდა იმუშაოს კოლეჯებთან, რათა მათ მივეხმაროთ იმის გაცნობიერებაში, რას ნიშნავს ავტორიზაცია, როგორ იკითხება ავტორიზაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები. მე ვიცი, რომ ამისთვის თქვენ ძალიან დიდი ძალისხმევას დებთ, ქალბატონო ნანი, დაწესებულება და ჩვენ აბსოლუტურად სხვადასხვა ორბიტებზე ვდგავართ და მე ვფიქრობ, რომ მსგავსი ქეისი აღარ გვქონდეს და როდესაც კოლეჯს დაუდგება ფაქტი, იმის მაგივრად, რომ სასამართლოში მიდიოდეს, მუშაობდეს პრევენციაზე და ხარისხის სისტემის გაუმჯობესებაზე“, დაამატა ქალბატონმა ნინო ველთაურმა.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ რაკი ქალბატონმა ნინომ ცენტრს მომართა, და ცენტრი მართლა დიდ ძალისხმევას ეწევა, რომ ხარისხის კულტურა დაინერგოს კოლეჯებში, საჭიროდ მიაჩნია განმარტოს, რომ ის ადამიანები, ვინც ეხლა წარმოადგენენ კოლეჯს, არცერთი არ იყო კოლეჯის თანამშრომელი ბოლო დრომდე. ბატონი რევაზიც მხოლოდ ავტორიზაციის საბჭოზე გამოჩნდა, როგორც მათი უფლებების დამცავი, ასევე, ქალბატონი მარიამიც და ბატონი ლევანიც, ამიტომ, მათი სამართლებრივი თუ ხარისხის კულტურის ცნობიერების ამაღლებაზე ცენტრი ვერც იზრუნებდა. „ყველანი სრულიად ახალი ადამიანები არიან კოლეჯისთვის და, ჩემი აზრით, საბჭოზე მათმა გამოსვლამ უარყოფითი ეფექტი უფრო მოახდინა“, დაამატა ნანი დალაქიშვილმა.

მანანა ხაბაძე: „პასუხს გავცემ პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით, რაზეც კითხვა დაისვა. ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელს 30 წლიანი გამოცდილება აქვს და საგანმანათლებლო ბაზარზე ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, არაერთი თაობა გამოვუშვით და არაერთი თაობა დასაქმებულია. დღესაც, ბაზრის კვლევიდან დაწყებული ყველა პროგრამას ისე ვახორციელებთ, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული 6 პროგრამიდან 5 პროგრამა ძალიან წარმატებულია, გარდა საბაჟოსი. ჩვენმა სტუდენტებმა სწორედ ეს დააფიქსირეს, რომ ისინი ძალიან კმაყოფილები არიან აქ სწავლებით. რაც შეეხება ფარმაციის პროგრამის ხარისხს, როგორც ვიცით გარკვეული ნაწილი მოდულების გასული არის პრაქტიკაზე, პრაქტიკები უნდა განხორციელდეს ან C გარემოში ან B გარემოში, A გარემოში, რა თქმა უნდა სალექციო კურსი მიდის თეორიული ნაწილი, სწორედაც იმისათვის, რომ C გარემოში განხორციელებული გარკვეული მოდულების პრაქტიკული კომპონენტი, ჩვენ გაფორმებული გვაქვს, როგორ არა, სხვადასხვა სააფთიაქო დაწესებულებებთან მემორანდუმი და ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სწორედაც, ჩვენი სტუდენტები აი იმ პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც C გარემოში უნდა გავლილიყო, გადიოდნენ. ნახეთ რა მოხდა, როცა გეგმიური მონიტორინგი ჩატარდა, ჩვენ ყველა ეს დოკუმენტაცია ხუთივე სტანდარტით შეგვიმოწმებს და ჩვენ ეს ვაჩვენეთ, მაგრამ არაგეგმიური მონიტორინგის დროს, კიდევ ერთხელ მივდივართ იქამდე, რომ სამწუხაროდ ეს ვერ ვაჩვენეთ, გამომდინარე იქიდან, რომ ეს დოკუმენტაცია აღარ იყო და სხვა დოკუმენტებთან ერთად იყო გამქრალი. თუმცა როგორ არა, ჩვენ გვაქვს B გარემოც, სადაც გვაქვს იმიტირებული გარემო, როდესაც გეგმიური მონიტორინგი იყო, პირიქით ჩათვალეს ექსპერტებმა, რომ სასწავლო პროცესი იყო გამართული და ძალიანაც მოეწონათ. ჩვენ ამით ვამაყობდით და ძალიანაც კეთილი განწყობით ვიყავით. როდესაც საბჭო ჩატარდა, ადამიანურად, მე ისეთი შეურაცხყოფილი დავრჩი, მინდა დავაფიქსირო ეს მომენტი,

მე როგორც 22 წლის პროფესიულ მასწავლებელს, 120 ატირებულმა სტუდენტმა დააფიქსირა, რომ ისინი კმაყოფილები არიან და მათ უნდათ ეს სასწავლებელი. გეგმიური მონიტორინგის დროს ჩვენ მოგვეცა 6 თვიანი დრო, და ეს იყო 11 ხარვეზი რომელიც უნდა გამოგვესწორებინა, უფრო იყო მატერიალური, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, მთელი ზაფხული გავასწორეთ მთლიანმა გუნდმა, იმიტომ რომ ჩენი სასწავლებელი ყოფილიყო მზად და გამოსწორებულიყო ყველა ხარვეზი. ჩვენ არ უარვყოფთ, იმას რისთვისაც ჩვენ დღეს შევხვდით ერთმანეთს, უბრალოდ ეს ხარვეზები იყო, მაგრამ მკაცრი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ამით ამდენი სტუდენტი, სადღაც 240 - მდე და მათი მშობლები ატირებულები წავიდნენ, ყველა გვერდში გვედგნენ, ჩვენ მივიღეთ ძალიან დიდი ტკივილი და ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება უბრალოდ ადამიანურად, ემოციურად ძალიან მკაცრი გადაწყვეტილება იყო ერთპიროვნულად. ეხლა უბრალოდ ერთი თხოვნა გვაქვს, მთელი ადმინისტრაციის სახელით, კიდევ ერთხელ იქნებ გავიაროთ ეს საკითხები და ესეთი მკაცრი გადაწყვეტილება, რომ 30 წლიანი სასწავლებელი საერთოდ დახუროს, ლიკვიდაცია მოხდეს მთლიანად ბაზარზე, ამაზე გვაქვს საუბარი. კიდევ ერთხელ სამართლებრივად გადავხედოთ ამ ყველაფერს. რაც შეეხება პრაქტიკებს, აბსოლუტურად ყველა სტანდარტის დაცვით მიმდინარეობდა ჩვენთან სწავლება“.

მარიამ ქებაძე: „მე იმის დამატება მინდა, რამდენად დავაზარალებთ სასწავლებელი, ჩენ მხოლოდ ამ სასწავლებლის უფლებების დაცვა გვინდა. თუ ვუშვებთ იმ ფაქტს, რომ ბუნებაში არსებობს ხარვეზები და არსებობს ამ ხარვეზის გამოსწორების შედეგები, თვითონ სისტემაც უშვებს ხარვეზებს. ერთ-ერთი აქ დაფიქსირებული მსმენელი, თვითონ სისტემამ მე-5 დონის სასწავლო პროგრამაზე დააფიქსირა საბაზო განთლების ატესტატით. თვითონ სისტემაც შეიძლება შეცდეს. შეცდომები შეიძლება ყველგან მოხდეს. სასამართლოც უშვებს შეცდომას და განჩინებას იღებს მერე ამ შეცდომის გასწორებაზე. ეს შეცდომები მინდა, რომ იმ კუთხით განიხილოთ და დაინახოთ, რომ ეს შეცდომები არ ყოფილა იმ დონის, რომ ავტორიზაციის საბჭოს გამოეტანა ყველაზე მკაცრი გადაწყვეტილება და ყველა სხვა დანარჩენი სიკეთე, რომელიც ამ დაწესებულებას აქვს და რომელიც რეგიონში წამყვანი სასწავლებლის ფუნქციას ასრულებს, გვერდზე გაეწია“.

ირაკლი ბურდულმა საბოლოო სიტყვა გადასცა ქალბატონ ნანა ყუფუნიას, რის შემდეგაც საბჭო გავიდოდა სათათბიროდ.

ნანა ყუფუნია: „ძალიან დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს. ძალიან საინტერესო იყო სააპელაციო საბჭოს წევრების მოსაზრებები, ასევე, დაწესებულების პოზიცია. ძალიან დიდი მადლობა მათ, რადგან იმ პოზიციის გაქდერებაში, რომელიც ეხლა მინდა რომ გავაქდერო, კიდევ უფრო დიდი დამაჯერებლობა შეიტანეს თავიანთი განმარტებებით და, რა თქმა უნდა, მადლობა ცენტრს და ჩემს კოლეგებს, რომლებიც აბსოლუტურად იზიარებენ თავიანთ ნაწილში ამ პასუხიმგებლობას. ასევე, მინდა ხაზგასმით ავღნიშნო, რომ მე პირადად, როგორც ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე, აგერ უკვე მესამე წელი იწურება, ვიქნებოდი ძალიან მოხარული, რომ აი ამ ჩვენი დისკუსიის შედეგად აღმომეჩინა, რომ რაღაც შემეშალა. დიახ, ჩვენ ვართ ადამიანები და როგორც ქალბატონმა მარიამმა, სწორად აღნიშნა და ჩვენი სამეტყველო აპარატი უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ ზოგჯერ ჩვენ საკუთარ თავსაც გამოვუტყდეთ, რომ, დიახ, შეგვეშალა. მოხარული ვიქნებოდი ბევრი მიზეზის გამო, რომ აღმომეჩინა, იმიტომ კი არა, რომ ჩემს პროფესიულ კვალიფიკაციას ჩრდილი მიადგებოდა ამით, არა, იმიტომაც არის ეს მექანიზმი, ჩადებული სააპელაციო საბჭოს არსებობის, რომ შესაძლებელია რაღაც გამოგვრჩეს და თავიდან უნდა შეგვახედოს ამ პროცესებისთვის და შეფასებას უნდა გადავხედოთ, რითიც ვიყავით მე და ჩემი კოლეგები დღესაც დაკავებული. არა იმიტომ, რომ მართლაც გული შემტკივა, როგორც საქართველოს ერთ-ერთ მოქალაქეს და პროფესიული განათლების გულშემატკივარს, რომ პროვაიდერი, რომელიც ძალიან საჭირო, ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამებით არის წარმოდგენილი, ავტორიზაციაშეწყვეტილი იქნება. ეს ძალიან მაწუხებს

ადამიანურად და მემგონი ამაზე ყველანი ვთანხმდებით, რომ ეს არ არის მარტივი გადაწყვეტილება. შესაბამისად, მე არ ვიცი მხარეს რა საფუძველი ჰქონდა, როდესაც საუბრობდა, თითქოს ეს ყველაფერი მიზანმიმართულად განხორციელდა დაწესებულების მიმართ, მე სრული პასუხიმგებლობით ვაცხადებ, რომ მე, პირადად ნანა ყუფუნიას, არანაირი ზეგავლენით ეს გადაწყვეტილება არ მიმიღია და ამაზე ვაგებ პასუხს ყველგან, ღმერთის წინაშე და ნებისმიერი ორგანოს წინაშე. ეხლა რაც შეეხება დანარჩენს, ქალბატონი მარიამის პოზიციაში აღნიშნული იყო შემდეგი, რომ დაწესებულების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არ არის დასაბუთებული საბჭოს გადაწყვეტილება. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, ოქმში მითითებულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ფარმაცია (სააფთიაქო); საექთნო საქმე; საბაჟო საქმე; ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა ფარგლებში ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი ფასდება, როგორც არ შეესაბამება, ვინაიდან შეუსაბამოდ შეფასდა 2.1.1.2 ინდიკატორი. დაწესებულებაში დარღვეულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები. დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვებულია პირები, რომლებიც არ ჩარიცხულან კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო დაწესებულებას ოფიციალური დოკუმენტებით დადასტურებული აქვთ პროფესიულ პროგრამებზე მათი სწავლის ფაქტები. გარდა ამისა, ერთ-ერთ სტუდენტზე, მიკვირს რომ ამაზე ყურადღება არ გაამახვილეს, დაფიქსირებულია შეფასებები. ეს პირი, რომელიც, რეალურად არ იყო სტუდენტი, შეფასებებში მოიხსენიებოდა, როგორც სტუდენტი და მას ენიჭებოდა შეფასებები, როგორც სწავლის შედეგების დადასტურება. რომელ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმზე ვსაუბრობთ? ეს არის ფაქტი, ეს არ არის ჭორაობა. მიკვირს კიდევ ერთხელ, რომ ეს ასე შეფასდა, როდესაც გვაქვს უტყუარი ფაქტები. სად არის მექანიზმი პრევენციის ან რეაგირების, რა შუაშია აქ უკვე წასული თანამშრომელი, როდესაც ერთ-ერთი ასე ჩარიცხული სტუდენტი, თუ მსმენელი კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და არა მომზადება/გადამზადების პროგრამაზე, როგორც ბრძანეთ, სტუდენტის შეფასება ხორციელდება და დასტურდება ხელმოწერით. გადავიდეთ შემდეგზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - ფარმაცია (სააფთიაქო); საექთნო საქმე; საბაჟო საქმე; ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა ფარგლებში ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი ფასდება როგორც არ შეესაბამება, ვინაიდან შეუსაბამოდ შეფასდა 2.4.2.1 და 2.4.2.4 ინდიკატორები, დაწესებულებაში პროფესიული პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური და არ ხდება მათი გამოყენება პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარებისათვის. გადავიდეთ შემდეგზე, ავტორიზაციის მე-4 სტანდარტი ფასდება, როგორც არ შეესაბამება, ვინაიდან, შეუსაბამოდ შეფასდა 4.1.1.1 ინდიკატორი, დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. კოლეჯში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია პირი იმ სტრუქტურული ერთეულის (სამსახური) ხელმძღვანელის პოზიციაზე, რომელიც დაწესებულებას განსაზღვრული არ აქვს ორგანიზაციული სტრუქტურით და არ არის გაწერილი მისი ფუნქცია-მოვალეობები, თუმცა ეს პირი დღეს აქტიური თანამშრომლის სტატუსით ირიცხება პროფესიული განათლების მართვის სისტემაში. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტი ფასდება, როგორც არ შეესაბამება, ვინაიდან, შეუსაბამოდ შეფასდა 5.2.2.1, 5.2.2.2 და 5.2.2.3 ინდიკატორები, დაწესებულება არ მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესით. გავიხსენოთ, როდესაც ორი ცნობა გატარებული იყო, ორი არ იყო გატარებული. ეს ქალბატონი, რომელზეც ამდენჯერ იქნა გაკეთებული აპელირება და მეორე თანამშრომელი, რომელსაც დაბრალდა ასევე დაწესებულების მხრიდან, ჩვენი კომპეტენცია არ არის მათი ბრალეულობის გამოკვლევა, ფაქტია, რომ მათ შემდეგაც, საქმისწარმოების ჟურნალი, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის გადამოწმება არ მოხდა და ეს ცნობები, ნაწილი მაინც არის ოფიციალურად დარეგისტრირებული და ხელმოწერილი დაწესებულების მიერ. თქვენი ნებართვით წავიკითხავ ერთ-ერთ ცნობას. ცნობა ეძლევა, სახელს და გვარ აღარ ვიტყვი, რომ ის ნამდვილად სწავლობს შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის „ინფორმაციული ტექნოლოგიები მხარდაჭერის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ეს არის

სასწავლებლის მიერ გაცემული, დირექტორის ხელმოწერილი ცნობა. აქ ცალსახად წერია, რომ ეს პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის ავტორიზაციაც მოპოვებული აქვთ და რომელზეც არ შეიძლება სხვა პირი სწავლობდეს თუ არა სტუდენტი. დიახ, სტუდენტი აქ არ წერია, მაგრამ აქ წერია, რომ ავტორიზებულ პროფესიულ პროგრამაზე სწავლობს სტუდენტი და კიდევ უფრო მეტიც, რაც მიკვირს. რაზე ვსაუბრობთ, რომ გამიზნულად არ ყოფილა და არ მომხდარა და სხვა პირებს განვიხილავთ. აქ წერია პირდაპირ, რომ ცნობა ეძლევა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში წარსადგენად. პირდაპირ არის მითითებული, რაზე ვსაუბრობთ? ჩვენ, მე პირადად, ნანა ყუფუნია, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე ვაცნობიერებ იმ პასუხიმგებლობას, რაც მაქვს ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რაც მაქვს ქვეყნის წინაშე, თითოეული იმ სტუდენტის წინაშე, რომელიც იქ სწავლობდა. მათ შორის, იმ პირის წინაშე, რომელიც ირიცხებოდა ინფორმაციული ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამაზე, თანხა გადაახდევინეს და შემდეგ უთხრეს, რომ ეხლა ხელახლა უნდა ჩააბარო და ხელახლა უნდა ისწავლო. აქ არის წარმოდგენილი დასკვნა, რომელსაც თქვენ დაეთანხმეთ, რომ ამ სტუდენტს თანხა ჰქონდა ჩარიცხული. მე არ ვიცი, რის გამო ჩარიცხა, თუმცა ეს თანხა ჩარიცხული აქვს. გამოკვლევა თუ ვინ მოიტყუა და ვინ სიმართლე თქვა, არ არის ამ ფორმატში გამოსაძიებელი, ეს თქვენ ძალიან კარგად იცით. მე შესაბამისად, ამ და ყველა სტუდენტის წინაშე, რა ინფორმაციაც ჩვენ გვაქვს, რასაც ჩვენ დავეყრდენით, როგორც მტკიცებულებას, როგორც ჩვენ ვიაზრებთ, მთელ სრულ პასუხიმგებლობას ამ გადაწყვეტილების თაობაზე, როგორც ქვეყნის, ისე სიტემის, ისე თითოეული ამ სტუდენტის და პირველ რიგში ასეთი სტუდენტების წინაშე, ისე უნდა გავიაზროთ ყველამ, მათ შორის საბჭომ, სააპელაციო საბჭომ, ცენტრმა და გადაწყვეტილება ეხლა თქვენზეა. ჩვენ, ჩვენ წილ პასუხიმგებლობას ვგრძნობთ და იგივე აზრზე ვართ, რომ აბსოლუტურად სწორად შევაფასეთ, რომ სისტემური ხარვეზები არის დაწესებულებაში და უფრო მეტიც, მენეჯმენტიც, სამწუხაროდ, არსებულიც ამ წუთას ამას ვერ აცნობიერებს. ეს არის სიტემის წინაშე, ხარისხის სისტემის წინაშე და განთლების წინაშე ძალიან დიდი, უხეში სისტემური დარღვევა. დანარჩენ პასუხისმგებლობას, რომელიც არის სიტემაში, რატომ არ აღიქვამს ატესტატს ელექტრონული სიტემა, ეს არის სხვა საკითხი და არ არის აქ განსახილველი და, მე მგონი, საბჭოს ოქმის ბოლო ნაწილში წერია, რომ ამაზე ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ“.

ლევან ტაკიძე: „გასაგებია, ქალბატონო ნანა, თქვენი პოზიცია. ანუ თუ სამინისტრო არღვევს წესებს, არ არის დანაშაული და თუ ჩვენ ვარღვევთ და ვალიარებთ ამ დარღვევებს, ჩვენ დამნაშავეები ვართ. თქვენი პოზიცია, პირდაპირ მოუწოდებს საბჭოს წევრებს დასკვნით ეტაპზე, რომ რაც მივიღეთ, ვტოვებთ იმას ძალაში. თქვენი პოზიცია მისაღებია და გასაგებია. ვფიქრობ, ამის უფლება თქვენ არ გაქვთ. მე ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ თქვენ თქვენს მოსაზრებაზე დარჩებოდით“.

ნანა ყუფუნია: „მე მაქვს უფლება ჩემს მოსაზრებაზე დავრჩე. მე პასუხისმგებლობას ვიღებ ამ გადაწყვეტილებაზე და თქვენს წინაშე. მე ვახსენე, რომ მოხარული ვიქნებოდი, რომ აღმომეჩინა დამატებითი გარემოებები, რომლებიც ვერ გამოვიკვლიე. მე ბევრჯერ მიფიქრია იმაზე, რომ მერე შეიძლება შემეშალოს და უკან დამიხევია. რატომაც არა, ამაში არაფერია ისეთი“.

ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭო არ ინტერესდება, ვინ რა პოზიციაზე დარჩება. დაწესებულების ერთ წარმომადგენელს მიეცა უფლება საბოლოო რეპლიკა გააჟღეროს.

მანანა ხაბაძე: „აქ გაჟღერდა, არაერთხელ, რომ ჩვენ სტუდენტების წინაშე ვაგებთ პასუხს, დიახ, ჩვენ 240 სტუდენტის წინაშე ვაგებთ პასუხს. ეს ჩვენ გათვითცნობიერებული გვაქვს. თქვენ წარმოიდგინეთ, სტუდენტებს შვილებს ვეძახდით. ჩვენ ამას ამდენი წელია ვაკეთებთ, გვიცნობს ყველა. რატომ იყო ინსტრუმენტი, უწყისი, რომელიც გადამოწმდა ექსპერტების მიერ, უწყისში არცერთ სტუდენტს არ ჰქონდა ჩათვლა მინიჭებული, მათ უბრალოდ ბაინდერში ეწყობ, ისე

როგორც სხვა სტუდენტებს. სხვა სტუდენტებისთვის როგორც დამზადდა ეს ინსტრუმენტი, ისე დამზადდა ამათთვისაც, შემდეგ მოხვდა ბაინდერში, მაგრამ უწყისის სახით რომ დადასტურებულიყო, მათი ეს ნაწილი კრიტერიუმების სახით ყოფილიყო, უწყისებში არ იყო ეს სტუდენტები. იმიტომ რომ ისინი სტუდენტებიც არ იყვნენ და როგორ იქნებოდნენ. ამაზე მინდა რომ გაგცეთ უბრალოდ პასუხი.

რევაზ ფუტკარაძე: „პროფესიული განათლების შესახებ კანონის მე-15 მუხლში, უფლება აქვს ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, ავტორიზაციის საბჭოები უფლებამოსილნი არიან შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრონ არაუმეტეს 60 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. ის რაც დარღვევად არის, გამოვასწორებთ, სამართლებრივად ექვემდებარება გამოსწორებას, ანუ შედეგი მოჰყვება. ამიტომ ვამბობთ, რომ დისკრეციის ფარგლებში რომ მოეცა საბჭოს ვთქვათ ვადა, განესაზღვრა, ხომ მოჰყვებოდა შედეგი. გამოსწორდება ის, რაც საბჭომ ჩათვალა ხარვეზად“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებს, სურდათ თუ არა რაიმეს დამატება.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 14:30

დასრულების დრო: 14:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 ნოემბრის N1459091 გადაწყვეტილების გაზიარების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 7;

წინააღმდეგი - 0;


გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას „შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 ნოემბრის N1459091 გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ არ დაკმაყოფილდეს შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ (ს/კ: 245409838) სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1515930 29/11/2022; დამატებითი კორესპონდენციის ცენტრში რეგისტრაციის №1562675 07/12/2022), რაც იმას ნიშნავს, რომ ძალაში დარჩება ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ჩაბარების შემდეგ შესაძლებელია გასაჩივრდეს შესაბამის სასამართლოში.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 14:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა

